

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N42

ქ.თბილისი

12 ივლისი, 2024 წელი  
16<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს საცემჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

კახაბერ ლაბუჩიძე

აკაკი ალადაშვილი

ნათია მოდებაძე

ლევან არველაძე

შალვა ოგბაიძე

ვლადიმერ ბოჭაძე

გურამ ოქროპირიძე

ოთარ გრიგოლია

ნინო რუხაძე

ნინო ვარდოსანიძე

რევაზ სოხაძე

კონსტანტინე ზარნაძე

ზურაბ ჩიკვილაძე

მარიამ ზაქარიაშვილი

გივი ჩხარტიშვილი

ანა კაკაბაძე

ავთანდილ ცინცაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ირაკლი ხელაძე

ანა კილაძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ზვიად კუპრავა

ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი გიორგი კობიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე;

თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანი;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი დავით ჩანქსელიანი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და საკრებულოს სახელით, მადლობა გადაუხადა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ დამდგარიყო ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი და რომლებმაც დაწერეს ჩვენი ქვეყნის ახალი ისტორია. მან, ასევე, მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, რომლებიც ამ შედეგის მიღწევისთვის ძალიან ბევრს შრომობდნენ, მათ შორის, ეს არის ფეხბურთის ფედერაცია და პირადად ლევან კობიაშვილი, რომელმაც მნიშვნელოვანი სამუშაო გაწია წლების განმავლობაში. მისი თქმით, ჩვენ, ყველანი, წლიდან წლამდე მივდიოდით ამ შედეგამდე და ეს არ იყო შემთხვევითი, ეს არის დამსახურებული, რაც არის იმ გუნდის თითოეული წევრის ძალისხმევის შედეგი, რომელმაც ბოლო წლების განმავლობაში ძალიან სწორად წარმართა მენეჯმენტი. გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა კოლეგას, აკაკი ალადაშვილს, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების წარმატება და იმედი გამოთქვა, რომ წინ კიდევ უფრო დიდი წარმატებები და სიხარული გველოდება. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია თბილისის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების საკითხი, რომლის თანახმადაც ბიუჯეტი იზრდება 48000000 ლარით, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას. აქვე აღნიშნა, რომ ეს თანხა გამოყოფილია ფინანსთა სამინისტროს მიერ და მადლობა გადაუხადა ცენტრალურ მთავრობას და პრემიერ-მინისტრს იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტს ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს დედაქალაქისთვის კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი პროექტი.

ლევან არველაძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს და ფეხბურთის ფედერაციას, რომლებმაც ბოლო ორი კვირის განმავლობაში დიდი ემოციები და სიხარული აჩუქეს ქართველ ხალხს. განაცხადა, რომ ეს იყო დიდი გამარჯვება და წარმატება, რაც, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია დიდ შრომასთან და კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, მათ შორის, აკაკი ალადაშვილს, რომლებმაც ეს დიდი სიხარული მიანიჭეს თითოეულ ჩვენგანს.

ირაკლი ხელაძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს, რომლებმაც უდიდესი ბედნიერება მიანიჭეს ქართულ საზოგადოებას. ასევე, მადლობა გადაუხადა ფეხბურთის ფედერაციას, მის ხელმძღვანელს ლევან კობიაშვილს, სამწვრთნელო შტაბს და ტექნიკურ პერსონალს - ადამიანებს, რომლებმაც წარმოუდგენელი შრომა გაწიეს იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანას მიეღწია ძალიან დიდი წარმატებისთვის. მან მადლობა გადაუხადა ასევე, ქართველ გულშემატკივრებს, რომლებმაც, ფეხბურთელებთან ერთად, გამორჩეული და საოცარი ერთიანობა აჩვენეს მთელს მსოფლიოს და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ზუსტად ასეთი დამოკიდებულებით და მიდგომით, ჩვენი ქვეყანა მომავალშიც ბევრ წარმატებას მიაღწევს. ირაკლი ხელაძემ ასევე, ისაუბრა თბილისის ბიუჯეტზე, აღნიშნა, რომ მისი მოცულობა იზრდება 48000000 ლარით, რაც მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას, დამატებით დააფინანსოს დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტები და პროგრამები და დააკმაყოფილოს თბილისელების საჭიროებები. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მიმდინარე პროცესები კარგად ასახავს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას, კერძოდ, ოპოზიციის მხრიდან ისმის ის, რომ თითქოს ქვეყანა მიდის სტაგნაციისკენ და ეკონომიკა გაჩერებულია, თუმცა, ამის საპასუხოდ, ბიუჯეტი იზრდება, იმატებს შესაძლებლობები, დედაქალაქი განაგრძობს განვითარებას და ასე იქნება მომავალშიც.

ზვიად კუპრაავამ საქართველოს ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებს მიულოცა „დიადი მიღწევა“, რომელიც ჰქონდა ევროპის ჩემპიონატზე, განაცხადა, რომ წინ კიდევ უფრო დიდი გამარჯვებები გველოდება და მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები იმაზე უკეთეს შედეგს აჩვენებს, ვიდრე ევროპის ჩემპიონატზე. მისი თქმით, არა მხოლოდ ფეხბურთის ნაკრები, არამედ მთელი საქართველო ივლის წინ, პროგრესისკენ და აუცილებლად მივალთ ევროპაში, იქ სადაც არის ჩვენი გზა. აქვე, ზვიად კუპრაავამ მიმართა „Gen Z“-ის: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ვაცხადებთ ღრმა და ყოვლისმომცველ რეფორმას პარტიის თბილისის

ორგანიზაციაში. მიმაჩნია, რომ თქვენ ხართ საუკეთესო მენეჯერები. მიმაჩნია, რომ თქვენ ხართ საუკეთესო პატრიოტები. მიმაჩნია, რომ თქვენ საუკეთესოდ შეძლებთ პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მისი თბილისის ორგანიზაციის მართვას. თქვენ შეგიძლიათ თქვენი ბიოგრაფიები გამოაგზავნოთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის წევრების, მათ შორის, ჩემს სახელზე და ჩვენ ამ ბიოგრაფიებს და განცხადებებს აუცილებლად განვიხილავთ და დაგიკავშირდებით. ჩვენ თუ ვთანხმდებით, რომ თქვენ ხართ საქართველოს საუკეთესო ნაწილი და თუ ვთანხმდებით, რომ საქართველო არის თქვენი, მაშინ, მე მიმაჩნია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, როგორც მთავარი ოპოზიციური პარტია, არის თქვენი. გელოდებით, მეგობრებო“.

ვლადიმერ ბოჟაძემ საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს მადლობა გადაუხადა იმ წარმატებისთვის, რასაც მათ მიაღწიეს ევროპის ჩემპიონატზე. ასევე, მადლობა გადაუხადა ლევან კობიაშვილს, აკაკი ალადაშვილს და ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოს ნაკრები მოხვედრილიყო ევროპის ჩემპიონატზე და ღირსეულად წარედგინა თავი. განაცხადა, რომ ნაკრების ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რომ ღირსები ვართ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის და ეს არ არის „ზღაპის ბოლო“, პირიქით, ეს ახალი რეალობის დასაწყისია. მისი თქმით, ფეხბურთელებმა დაუმტკიცეს მთელს ევროპას და მსოფლიოს, რომ ჩვენ ვიმსახურებთ ევროკავშირის წევრობას. უსამართლობაა ის, რაც დაკავშირებული იყო კანდიდატის სტატუსის მიღებასთან და ეს უსამართლობა დღესაც გრძელდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქართულ ჯარს აღარ უფინანსებენ წვრთნებს. ვლადიმერ ბოჟაძე გამოეხმაურა ზვიად კუპრაგას გამოსვლას, განაცხადა, რომ მისი სიტყვები არის იმის დასტური, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაში“ რეორგანიზაცია კი არ იწყება, არამედ, დაიშალა თბილისის ორგანიზაცია და ახლა უნდათ, რომ ახალგაზრდები შეიყვანონ შეცდომაში, თითქოს გზას უთმობენ მათ. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დღეს თბილისის ბიუჯეტი იზრდება 48000000 ლარით, რომელიც გადანაწილებულია რაიონული გამგეობების, საქალაქო სამსახურების, სოციალური პროექტების და ჯანდაცვის მიმართულებებზე, თუმცა, ოპოზიციის წარმომადგენლები მონაწილეობას არ მიიღებენ იმ კეთილი საქმის განხორციელებაში, რომელიც ხვალიდან დაიწყება ჩვენს ქალაქში და სწორედ ამიტომ, „ნაციონალური მოძრაობა“ არათუ საქართველოს პარლამენტში და თბილისის საკრებულოში, არამედ საერთოდ პოლიტიკაშიც კი არ უნდა იყოს.

გურამ ოქროპირიძემ საქართველოს ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებს მადლობა გადაუხადა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული ასპარეზობისთვის და იმ ბრძოლისა და თავდადებისთვის, რაც თითოეულმა მათგანმა აჩვენა. განაცხადა, რომ ეს არის სწორად მუშაობის შედეგად მიღწეული ისტორიული შედეგი, რომელმაც გააერთიანა საზოგადოება და ამიტომ მადლობა გადაუხადა ფეხბურთის ფედერაციას, სამწვრთნელო შტაბს და პერსონალს, რომლებიც ჩართული იყვნენ ამ პროცესებში. გურამ ოქროპირიძემ ასევე, ისაუბრა თბილისის ბიუჯეტზე, აღნიშნა, რომ 48000000 ლარიანი ზრდა ძალიან მნიშვნელოვანია, მათ შორის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით წარმოდგენილია 950000 ლარამდე მატება, რაც მოხმარდება ამ მიმართულებით არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს.

შალვა ოგბაიძემ საქართველოს ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებს მადლობა გადაუხადა, განაცხადა, რომ საქართველოს ნაკრებს დაეწყო „ოქროს ხანაზე“ უკეთესი პერიოდი და ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატება მიულოცა ყველას, მათ შორის, აკაკი ალადაშვილს, ლევან კობიაშვილს და მთლიანად ფეხბურთის ფედერაციის გუნდს, ვინც ეს „მხარდი გამარჯვება გამოიჭიდა“. აქვე განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის სწორედ სპორტზე და ახალგაზრდებზე ზრუნვა და ეს წარმატება, „ციდან შემთხვევით არ ჩამოვარდნილა“.

კონსტანტინე ზარნაძე გამოეხმაურა ზვიად კუპრაგას გამოსვლას და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი და ღიმილისმომგვერელია, თუ როგორ შეიძლება ახალგაზრდები, რომლებსაც ძალიან კარგად უჭირთ გონება, გახდნენ იმ პარტიის წევრები, რომლის ხელმძღვანელობა არის თავიდან ბოლომდე სამარცხვინო და რომლის იდეური ლიდერი არის მიხეილ სააკაშვილი.

შეიძლება ახალგაზრდები რაღაცაზე გაბრაზდნენ და პროტესტი გამოხატონ, მაგრამ წარმოუდგენელია ის, რომ ამის გამო გაწევრიანდნენ „ნაციონალურ მოძრაობაში“ და ამიტომ ტყუილად აქვთ მათ ამის იმედი.

აკაკი ალადაშვილმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების სახელით, მადლობა გადაუხადა კოლეგებს. აღნიშნა, რომ ის დახვედრა, რომელიც მოუწვევს ნაკრების ფეხბურთელებს, იყო ძალიან ემოციური და ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა და სიყვარული, რომელიც ყველგან იგრძნობოდა ამ რთულ გზაზე და რომლის გარეშეც ამ შედეგს ვერ მივაღწევდით. სწორედ ამიტომ, ეს არის ყველას გამარჯვება.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის მხარდაჭერა, რომელიც ფედერაციას წლების განმავლობაში ჰქონდა სახელმწიფოსგან. კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც თუნდაც პატარა წვლილი შეიტანა ფედერაციის მხარდაჭერაში, რამაც მთელი საქართველოსთვის სანატრელი შედეგი გამოიღო და განაცხადა, რომ დარწმუნებულია მომავალში კიდევ უფრო მეტი წარმატებები იქნება. საუბრის ბოლოს, გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა ფონდს „ქართუ“ და ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც, მისი თქმით, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში და განსაკუთრებით ბოლოს, განახორციელა ეროვნული ნაკრების და ფედერაციის უპრეცედენტო მხარდაჭერა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არჩილ გორდულაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;  
მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;  
მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;  
მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;  
მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;  
მომხსენებელი: თამარ გოგიტიძე

6. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

10. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ჩანქსელიანი

11. „ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის I შესახვევი N8-ში არსებული 28.28 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.007.039.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

12. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, N3-ში არსებული 70.59 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.013.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

13. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N3-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.002.011.01.022) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

15. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

16. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

17. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი N10-ის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.476) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

18. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.007) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

19. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N115-ის მიმდებარედ არსებული 184 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.10.002.014) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

20. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში არსებული 38.91 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.01.503) და 46.52 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

21. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N67-ში არსებული 96.63 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.074.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

22. „ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9-ში არსებული 76.20 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და 76.20 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N95 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახედვის მიზნით განსახორციელებელი

ლონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივნისის N24.1068.1209 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

24. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის N128- 142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.074) 3 კვ.მ. საერთო ფართობის ორი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კაფე საფორესტვის“ (ს/ნ. 204550057) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

25. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N19-ის მიმდებარედ/ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N15-21-ის მიმდებარედ 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.007.061) პირდაპირი განკარგვის წესით ზესიკ მემანიშვილისთვის (პ/ნ. N01003015002) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

26. „ქ.თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.044.017) 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვინეროსთვის“ (ს/ნ. 405573062) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

27. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.038) 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჰანი ჰაივისთვის“ (ს/ნ. 405672375) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

28. „ქ.თბილისში, დაბა კოჯორში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.28.026.005) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „აბგრეიდ ქონსტრაქშენს“ (ს/ნ. 405542024) შორის 2023 წლის 11 იანვარს გაფორმებული „ქ.თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი N13-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და N01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.261), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისგან, შპს „აბგრეიდ ქონსტრაქშენის“ (ს/ნ. 405542024) უფლებამონაცვლე, შპს „ბლოქსი თავდადებულზეს“ (ს/ნ. 405626997) გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

30. „ქ.თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის N233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

31. „შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ში და მის მიმდებარედ, N01.10.10.007.061, N01.10.10.007.080 და N01.10.10.007.081 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამურად 16871 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის (ს/ნ. 405193678), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

32. „ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბნის IIა, კორპუსი N27-ის მიმდებარედ, N01.17.06.014.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 035 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ახალი ვაზისუბნისთვის“ (ს/ნ: 405675899), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

33. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

35. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ფატმანის ქუჩა N98-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.300.001, ფართობი - 7321 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების



შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის N267 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

37. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, II და III მიკრო/რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.641, ფართობი - 4976 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

38. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.39.014.047, ფართობი - 887 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

39. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N156-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.008.034, ფართობი - 973 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

40. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.027.014, ფართობი - 1231 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

41. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N73-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.070, ფართობი - 3342 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

42. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვახტანგ ცინცაძის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.059, ფართობი - 1740 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

43. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

44. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

45. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.18.678; N81.02.18.632; N81.02.18.295; N81.02.18.688; N81.02.18.088) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

46. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.17.952; N72.16.21.076; N72.16.21.789; N01.72.16.094.005-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

47. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ტრიკოტაჟი, N3; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვ.ნინუა, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.001.197, N01.12.12.001.196, N01.12.12.001.412, N01.12.12.001.208, N01.12.12.001.218, N01.12.12.001.409) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

48. „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.06.614; N81.02.06.613; N81.02.06.608) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

49. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N73ა/გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N1; ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N 1ა, N1ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.137; N01.18.06.019.062; N01.18.06.019.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

50. „ქ.თბილისში, სოფელი ტაბახმელა, შავნაბადას ქუჩა, N67, N59, N65, N63, N61, N57; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, მუხრან-თელეთის ქუჩა, N48, N46, N44, N42, N38, N 40-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.05.466; N81.02.05.441; N81.02.05.733; N81.02.93.269; N81.02.99.961; N81.02.05.483; N81.02.05.531; N81.02.05.539; N81.02.05.759; N81.02.39.032; N81.02.99.597; N81.02.99.596) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

51. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა, N113-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.09.009.005; N01.18.09.009.006) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

52. „ქალაქ თბილისში, „დელისი-3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, (ნაკვეთი N1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.289; N01.14.15.001.418) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიმე

53. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.18.079; N81.02.18.795; N81.02.18.786; N81.02.18.787; N81.02.18.078) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიმე

54. „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის N64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.01.005.129-ის ნაწილზე; N01.12.01.005.051; N01.12.01.005.091; ნაკვეთი: N5/50, N5/51, N005/056) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N142 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიმე

55. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიმე

56. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური-საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიმე

57. „ქალაქ თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N14ბ, N12ბ, N14, N16-ში; ქალაქი თბილისი, გორგასლის II შესახვევი, N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.09.003.020; N01.18.09.003.023; N01.18.09.002.020; N01.18.09.002.027; N01.18.09.002.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N447 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიმე

58. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ.N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ.N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164

განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

59. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N163 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

60. „ქალაქ თბილისში, სოფელ წაგვისში; ქალაქი თბილისი, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.33.061; N01.81.02.294.008-ის ნაწილი; N81.02.02.649; N81.02.02.729; N81.02.02.730; N01.81.02.344.002) ინდივიდუალური ერთბიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

61. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალას დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.13.020.056; N01.18.13.020.059) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

62. „ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი N160; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, ტაბახმელას ველის ქუჩა, N2; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.28.087; N81.02.28.089; N81.02.28.090; N81.02.28.088; N81.02.28.153; N81.02.28.071; N81.02.28.070; N81.02.28.024; N81.02.03.628; N81.02.03.629; N81.02.28.025) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

63. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის VI შესახვევი N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.107) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

64. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.16.104.010-ის ნაწილი; N72.16.17.881; N72.16.17.882; N72.16.17.883; N72.16.17.886; N72.16.17.887) ინდივიდუალური ერთბიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

65. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.17.576; N01.72.16.104.015-ის ნაწილი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

66. „ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, არსენას ქუჩა N10ა-ში; ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.007.062; N01.20.01.007.056; N01.20.01.007.086; N01.20.01.007.061; N01.20.01.007.043; N01.20.01.143.013-ის ნაწილი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

67. „ქალაქ თბილისში, სოფელი კიკეთი, გიორგი შატბერაშვილის ქუჩა, N3; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, გიორგი შატბერაშვილის ქუჩა, N 2-21-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.01.01.890, N81.01.01.337) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

68. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის მომღერლის თამაზ სეფერთელაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

69. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის კინომსახიობის ლიკა ქავჭავაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

70. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტეხურის ქუჩისთვის ექიმ-ინფექციონისტის, აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

71. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დილოში, იოანე პეტრიწის 4ა კორპუსთან არსებული უსახელო სკვერისთვის შოთა ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

72. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის მონაკვეთისთვის კომპოზიტორის შალვა დავითაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

73. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, აკაკი ვასაძის ქუჩისთვის რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

74. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩისთვის რეჟისორისა და სცენარისტის დევი აბაშიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

75. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ“ ქუჩებისთვის რეჟისორისა და მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

76. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო სკვერისთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის იასონ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

77. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მიხეილ ბუხაიძის I შესახვევისთვის მეან-გინეკოლოგის, პროფესორ პალიკო კინტრაიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

78. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, თეიმურაზ ბოჭორიშვილის I გასასვლელისთვის თეიმურაზ ბოჭორიშვილის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

79. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გიგო ხერყაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის გიგო ხერყაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

80. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N82 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

81. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის იოთამ ზედგინიძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

82. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კაკლიანის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლის კობა მირზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

83. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დილომში სერგი ცხაკაიას ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

84. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის II შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ორი ჩიხისთვის იუნკერ ლევან კანდელაკის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

85. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში არჯევან ანანიაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

86. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში რაჭის ქუჩასთან არსებული სამი უსახელო ჩიხისთვის რაჭის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

87. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში აფხაზეთის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

88. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ელენე ახვლედიანის ხევისთვის მსახიობის თამარ სხირტლაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

89. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის ხელოვნებათმცოდნე ნადია შალუტაშვილის და მთამსვლელის, გეოგრაფ მარინე უთმელიძის სახელების მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

90. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კონსტანტინე ანდრიაძის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მედლების ინგა გვასალიას და რუსუდან ჩხეტიანის სახელების მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

91. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის\* ორი მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლების, ცოლ-ქმრის მერი პაკელიანის და ალექსანდრე გამსახურდიას სახელების მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

92. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვლადიმერ კოკინაკის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ორი უსახელო ჩიხისთვის და ჯავის II შესახვევის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მზრძოლის ლილი თაკვარელიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

93. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ფეიქართა ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ეველინა თავაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

94. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სანდრო ახმეტელის თეატრთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის თამარ წულუკიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

